



## დასკვნა

„საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის  
შესახებ“

საქართველოს კანონის პროექტზე

(საბოლოო ვარიანტი)

## **დასკვნა „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (საბოლოო ვარიანტი)**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 39-ე მუხლისა და პარლამენტის რეგლამენტის 138-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა დასკვნა „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტი უნდა მოიცავდეს. ამავე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, ასევე თანდართული მასალები მოიცავს:

- სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათს, რომელიც შეიცავს შემდეგ ინფორმაციას: ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორებისა (ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი, ეკონომიკური ზრდა, ინფლაცია, ინვესტიციები და ა. შ.) და ფისკალური მაჩვენებლების პროგნოზებსა და მათ აღწერას; ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ძირითადი ღონისძიებებისა და პროგრამების შესახებ;
- მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვას;
- წლიური საბიუჯეტო კანონის ამოქმედებისათვის საჭირო საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს;
- დამატებით ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ.

## **მთავრობის პასუხისმგებლობა „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით**

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის, მისი თანდართული მასალებისა და ქვეყნის ძირითადი მიმართულებებისა და მონაცემების დოკუმენტის მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის იმ დაშვებების განსაზღვრასა და განმარტებაზე, რომლებსაც „სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა.

## **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა**

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით

გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დაშვებები, რომლებსაც ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად წარდგენილი, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

## დასკვნა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა „2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტი. კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის გავრცელებისა და ინფიცირების შემთხვევათა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, ასევე რეგიონში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან (IMF) გამართული კონსულტაციების შედეგად, პროექტში დაკორექტირდა როგორც მაკროეკონომიკური, ასევე ფისკალური მაჩვენებლები.

კანონპროექტის წარმოდგენილ ვარიანტში გათვალისწინებულ იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია და წინა ვერსიასთან შედარებით, **ეკონომიკური ზრდის** საპროგნოზო მაჩვენებელი 0.7 პროცენტული პუნქტით შემცირდა და დაუახლოვდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროგნოზებს. 2021 წლის ეკონომიკური ზრდა 4.3%-ის დონეზე განისაზღვრა, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში (2022-2024 წლებში) პროგნოზირებულია 5.5%-იანი ზრდა (წინა პროგნოზი - 5%). IMF-ის შეფასებითაც, 2021 წლის ეკონომიკური ზრდა 4.3%-ითაა განსაზღვრული, თუმცა იმავე შეფასებით, ქვეყანაში არსებობს უფრო დაბალი ეკონომიკური ზრდის გამომწვევი რისკები<sup>1</sup>.

სხვა მაკროეკონომიკული მაჩვენებლებიდან აღსანიშნავია, რომ **ნომინალური მშპ-ს** საპროგნოზო მოცულობა 1.1 მლრდ ლარით შემცირდა და 53.4 მლრდ ლარს შეადგენს. მშპ-ს დეფლატორის და **სამომხმარებლო ფასების ინდექსის** (საშუალო პერიოდი) პროგნოზი, შესაბამისად 3.8%-მდე (0.2 პროცენტული პუნქტით) და 2.5%-მდე (0.7 პროცენტული პუნქტით) შემცირდა. წარმოდგენილი პროგნოზით, ინფლაცია საშუალოვადიან პერიოდში (2022-2024 წლებში) 3.0%-იან ნიშნულს უბრუნდება.

წარმოდგენილი კანონპროექტით შეიცვალა საგარეო სექტორის საპროგნოზო მაჩვენებლებიც. კერძოდ, საქონელი და მომსახურების ექსპორტის ზრდის პროგნოზი გაიზარდა 9.0%-მდე (1.1 პროცენტული პუნქტით), ხოლო იმპორტის 4.1%-მდე (2.8 პროცენტული პუნქტით). **მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის** პროგნოზი გაიზარდა 3.3 პროცენტული პუნქტით და მშპ-ს 8.5%-ის (1.4 მლრდ აშშ დოლარი) დონეზე განისაზღვრა. აღნიშნული ძირითად განპირობებულია მომსახურების ექსპორტის საპროგნოზო მაჩვენებლის შემცირებით 1.1 მლრდ აშშ დოლარის ოდენობით.

---

<sup>1</sup> [IMF Staff Concludes Virtual Review Mission to Georgia](#)

ცხრილი 1. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები.

|                                           | 2020 წლის პროგნოზი                            |                                                | 2021 წლის პროგნოზი                            |                                                |
|-------------------------------------------|-----------------------------------------------|------------------------------------------------|-----------------------------------------------|------------------------------------------------|
|                                           | 2021 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (II წარდგენა) | 2021 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (III წარდგენა) | 2021 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (II წარდგენა) | 2021 წლის ბიუჯეტის კანონპროექტი (III წარდგენა) |
| რეალური მშპ-ს ზრდა                        | -4.9%                                         | -5.0%                                          | 5.0%                                          | 4.3%                                           |
| ნომინალური მშპ (მლრდ ლარი)                | 49.9                                          | 49.4                                           | 54.5                                          | 53.4                                           |
| ინფლაცია (საშუალო პერიოდის)               | 5.1%                                          | 5.2%                                           | 3.2%                                          | 2.5%                                           |
| მშპ-ს დეფლატორი                           | 5.0%                                          | 5.5%                                           | 4.0%                                          | 3.8%                                           |
| მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (% მშპ-სთან) | 9.2%                                          | 9.7%                                           | 5.2%                                          | 8.5%                                           |
| ექსპორტის ცვლილება                        | -25.8%                                        | -39.7%                                         | 7.9%                                          | 9.0%                                           |
| იმპორტის ცვლილება                         | -19.3%                                        | -29.8%                                         | 1.3%                                          | 4.1%                                           |

მიმდინარე წლის 28 ნოემბრიდან ეკონომიკის სხვადასხვა დარგების საქმიანობის შეზღუდვისა და ეკონომიკური ზრდის ტენდენციის გათვალისწინებით, დაკორექტირდა მიმდინარე წლის მაკროეკონომიკური პარამეტრებიც. კერძოდ, 2020 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და -5.0%-ით განისაზღვრა. ასევე, შემცირდა (0.6 მლრდ ლარით) ნომინალური მშპ-ს მოსალოდნელი მნიშვნელობა 49.4 მლრდ ლარამდე. მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი 0.5 პროცენტული პუნქტით გაუარესდა და მშპ-ს 9.7%-ს შეადგენს.

გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად შემუშავებულია **ფისკალური წესები**<sup>2</sup>, რომლებიც რეგულირდება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (შემდგომში - ორგანული კანონი). **წინასწარი მონაცემებით, მიმდინარე წელს, ზედიზედ ორ კვარტალში დაფიქსირდა ეკონომიკური რეცესია**<sup>3</sup>, რის შედეგადაც ამოქმედდა ორგანული კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევა<sup>4</sup> და

<sup>2</sup> ბიუჯეტის ბალანსის წესი - ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ 3.0%-ს.

ვალის წესი - საქართველოს მთავრობის ვალის ფარდობა მშპ-სთან ნაკლები უნდა იყოს 60.0%-ზე.

შემოსავლების წესი - ორგანული კანონი, აქციზის გარდა, ზღუდავს ნებისმიერი გადასახადის განაკვეთის გაზრდას რეფერენდუმის გარეშე.

<sup>3</sup> „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მუხლი 2, პუნქტი 7.


ეკონომიკური ზრდის შენელება/რეცესია – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, ზედიზედ ბოლო 2 კვარტალის რეალური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი წინა წლის შესაბამის კვარტალებთან შედარებით 2 პროცენტული პუნქტით დაბალია, ვიდრე გასული 10 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი.

<sup>4</sup> ფისკალური წესებით დადგენილი ზღვრული მაჩვენებლების მიღმა ბიუჯეტის დაგეგმვა შესაძლებელია საგანგებო ან საომარი მდგომარეობის ან/და ეკონომიკური რეცესიის დროს.

წარმოდგენილი კანონპროექტით, ბიუჯეტის ბალანსისა (ბიუჯეტის დეფიციტი) და ვალის წესის საპროგნოზო მაჩვენებლები ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული მოცულობების მიღმა იგეგმება.

წარმოდგენილი კანონპროექტით, წინა ვერსიასთან შედარებით, 2021 წლის ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტის საპროგნოზო მაჩვენებელი 2.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და მშპ-ს 7.7%-ის (4.1 მლრდ ლარი) დონეზე განისაზღვრა. შედეგად, იგი 4.7 პროცენტული პუნქტით აჭარბებს ორგანული კანონით დადგენილ 3.0%-იან ლიმიტს. აღნიშნული, განპირობებულია არადეფიციტური შემოსულობების<sup>5</sup> პროგნოზის კლებით (722 მლნ ლარით) და ხარჯების გეგმური მაჩვენებლის ზრდით (1.1 მლრდ ლარით).

დიაგრამა 1. 2021 წლის ბიუჯეტის კანონის პროექტის II და III წარდგენით განსაზღვრული ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი საშუალოვადიან პერიოდში.



კანონპროექტზე თანდართული საშუალოვადიანი პროგნოზით (2022-2024 წლები), ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი ორგანული კანონით განსაზღვრული 3.0%-იანი ნიშნულის ფარგლებში 2023 წელს ბრუნდება (2023 წელს დეფიციტის პროგნოზი 2.9%-ს შეადგენს). აღნიშნული ძირითადად მომდევნო წლებში კაპიტალური ხარჯების შემცირებით, ეკონომიკის ზრდისა და ზრდის შედეგად საგადასახადო შემოსავლების ბაზის აღდგენით იგეგმება. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებისათვის შესაძლოა ადგილი ჰქონდეს განათლების რეფორმის ფარგლებში, 2022 წლიდან განსაზღვრული სავალდებულო დაფინანსების ნორმის გადახედვას<sup>6</sup>.

<sup>5</sup> არადეფიციტური შემოსულობები შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების ჯამის ტოლია.

<sup>6</sup> 2022 წლიდან ამოქმედდება საბიუჯეტო კოდექსის 45<sup>1</sup> მუხლი, რომლის მიხედვითაც სავალდებულოა, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი მომზადდეს და დამტკიცდეს იმგვარად, რომ საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით განათლების სფეროს დაფინანსების მოცულობა არ იყოს დასაგეგმი წლისთვის პროგნოზირებული ნომინალური მშპ-ს 6%-ზე ნაკლები.

ამასთანავე, IMF-თან არსებული პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოდიფიცირებული დეფიციტის<sup>7</sup> პროგნოზი 2021 წლისთვის 2.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და მშპ-ს 7.6%-ის (4.1 მლრდ ლარი) დონეზე განისაზღვრა. ანალოგიური მაჩვენებელი 2020 წლისთვის 9.1%-ს შეადგენს.

ორგანული კანონით ვალის წესი განისაზღვრება, როგორც მთავრობის ვალისა<sup>8</sup> და „საჯარო და კერძო პარტნიორობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების ჯამის ფარდობა მშპ-სთან. აღნიშნული მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს 60%-იან ნიშნულს. წარმოდგენილი კანონპროექტით, ვალის წესის მიზნებისათვის დათვლილი მაჩვენებელი აჭარბებს 60%-იან ნიშნულს და 60.8%-ს შეადგენს. თუმცა, აღნიშნულ მაჩვენებელთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები<sup>9</sup>:

- ვალის წესის მიზნებისათვის, მთავრობის ვალისა და „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების“ (PPP პროექტები) ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების მშპ-სთან ფარდობის საპროგნოზო მაჩვენებელი არ ითვალისწინებს ყველა PPP პროექტიდან მომდინარე ვალდებულებებს;
- მთავრობის ვალი არ მოიცავს იმ სახელმწიფო საწარმოების ვალს, რომლებიც ფინანსთა სამინისტროს მიერ დაკლასიფიცირდა როგორც სამთავრობო სექტორი. დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ ბიუჯეტის კანონპროექტზე თანდართული ფისკალური რისკების ანალიზის დოკუმენტის მიხედვით, დასრულდა სახელმწიფო საწარმოების სექტორიზაციის პროცესი და დოკუმენტს დანართის სახით ახლავს სახელმწიფო კორპორაციებისა და სამთავრობო სექტორებს მიკუთვნებული საწარმოების შესახებ მონაცემები. აღნიშნულის მიუხედავად, კანონპროექტში წარმოდგენილი მთავრობის ვალის მაჩვენებელი არ ითვალისწინებს სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების ვალდებულებებს, რომლის მოცულობაც 409 მლნ ლარსა და მშპ-ს 0.8%-ს შეადგენს.


ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუ 2021 წლისთვის ვალის წესის მიზნებისათვის გაანგარიშებულ საპროგნოზო მაჩვენებელში (60.8%) გავითვალისწინებთ დარჩენილი PPP პროექტებიდან მომდინარე (+0.3%) და სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული საწარმოების ვალდებულებებს (+0.8%), საპროგნოზო მაჩვენებელი 61.9%-მდე გაიზრდება (იხ. დიაგრამა 2).

<sup>7</sup> აღნიშნული მაჩვენებლის გამოთვლა ხდება ნაერთ ბიუჯეტზე დაყრდნობით და GFSM 2014-ის მიხედვით განსაზღვრული დეფიციტის დათვლის წესისგან განსხვავებით „ფინანსური აქტივების“ მუხლით განხორციელებულ ოპერაციებსაც განიხილავს.

<sup>8</sup> ორგანული კანონის მიზნებისთვის, მთავრობის ვალი „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო ვალისგან განსხვავებით არ მოიცავს ეროვნული ბანკის ვალს IMF-ის მიმართ და დამატებით მოიცავს საბიუჯეტო ორგანიზაციების, მუნიციპალიტეტებისა და სსიპ-ების ვალდებულებებს.

<sup>9</sup> მთავრობის ვალის ნაშთში არ ხდება ისტორიული ვალის გათვალისწინება, რომლის მოცულობა პირობითად განსაზღვრულია 672 მლნ ლარის ოდენობით.

დიაგრამა 2. ვალის წესის მაჩვენებელი და მისი მიმართება „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ ორგანული კანონით დადგენილ 60%-იან ზღვართან.<sup>10</sup>



\* 2021 წლის მოგებული მაჩვენებელი დამატებით ითვალისწინებს სამთავრობო სექტორად დაკლასიფიცირებული სახელმწიფო საწარმოებიდან და დარჩენილი PPP პროექტებიდან მომდინარე ვალდებულებებს.

წარმოდგენილი კანონპროექტით, 2021 წელს ვალის ზრდა მთლიანად საგარეო ვალდებულებების ზრდითაა განპირობებული. მათ შორის, 2021 წელს ვადა ეწურება 500 მლნ აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ევროობლიგაციებს და იგეგმება მათი რეფინანსირება ახალი ევროობლიგაციების ემისიით 1.66 მლრდ ლარის ოდენობით. აღნიშნულის პარალელურად, კანონპროექტი 2021 წელს არ ითვალისწინებს საშინაო ვალის ზრდას, რაც მთავრობის ვალის მართვის მოქმედ სტრატეგიაში გაცხადებულ საშინაო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მიზანთან წინააღმდეგობაში მოდის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2021 წლის ბოლოს მთავრობის ვალის პორტფელის 81.5% უცხოურ ვალუტაში იქნება დენომინირებული, რაც ზრდის ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების მიმართ მოწყვლადობას. თავის მხრივ, პანდემია და არსებული გეოპოლიტიკური რისკები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ვალუტის გაცვლით კურსზე, რაც გასათვალისწინებელი ფაქტორია მთავრობის ვალის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, არსებული გამოწვევების საპასუხოდ ფინანსთა სამინისტრომ დროულად განახლოს „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია“ საშუალოვადიანი პერიოდისათვის, რომელშიც ასახული იქნება მთავრობის ხედვა თუ როგორ დაუბრუნდება ვალის პორტფელი კრიზისის პერიოდამდე არსებულ ნიშნულს. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 24 სექტემბრის ფინანსთა მინისტრის №234 ბრძანების შესაბამისად, ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის მართვის დეპარტამენტს დაევალა „მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის“ ყოველწლიური განახლება და არაუგვიანეს 20 ნოემბრისა, მისი შესაბამის ვებგვერდზე განთავსება.

<sup>10</sup> 2020 და 2021 წლების მშპ-ს შემთხვევაში აღებულია 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტში წარმოდგენილი საპროგნოზო მაჩვენებლები.



რაც შეეხება კანონპროექტის ძირითად ფისკალურ პარამეტრებს, წინა წარდგენასთან შედარებით შემოსულობები იზრდება 2 მლრდ ლარით (16.8 მლრდ ლარამდე), ხოლო გადასახდელები - 1.3 მლრდ ლარით (18.4 მლრდ ლარამდე). ბიუჯეტის ნაშთის გამოყენების მაჩვენებელი შემცირებულია 686 მლნ ლარით, 1.6 მლრდ ლარამდე (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტის მაჩვენებლები (მლნ ლარი)

| დასახელება                                       | 2020 წლის<br>ბიუჯეტის<br>კანონი | 2021 წლის ბიუჯეტის<br>კანონის პროექტი<br>(II წარდგენა)<br>(1) | 2021 წლის ბიუჯეტის<br>კანონის პროექტი<br>(III წარდგენა)<br>(2) | ცვლილება<br>(2)-(1) |
|--------------------------------------------------|---------------------------------|---------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------|---------------------|
| <b>შემოსულობები</b>                              | <b>18,420</b>                   | <b>14,759</b>                                                 | <b>16,758</b>                                                  | <b>1,999</b>        |
| შემოსავლები                                      | 10,213                          | 11,285                                                        | 11,179                                                         | -106                |
| არაფინანსური აქტივების კლება                     | 90                              | 150                                                           | 150                                                            | 0                   |
| ფინანსური აქტივების კლება<br>(ნაშთის გამოკლებით) | 80                              | 150                                                           | 150                                                            | 0                   |
| ვალდებულებების ზრდა                              | 8,038                           | 3,174                                                         | 5,279                                                          | 2,105               |
| მათ შორის საშინაო                                | 1,850                           | 1,000                                                         | 0                                                              | -1,000              |
| მათ შორის საგარეო                                | 6,188                           | 2,174                                                         | 5,279                                                          | 3,105               |
| <b>გადასახდელები</b>                             | <b>15,924</b>                   | <b>17,071</b>                                                 | <b>18,385</b>                                                  | <b>1,313</b>        |
| ხარჯები                                          | 12,556                          | 11,563                                                        | 12,778                                                         | 1,216               |
| არაფინანსური აქტივების ზრდა                      | 2,008                           | 2,516                                                         | 2,397                                                          | -119                |
| ფინანსური აქტივების ზრდა                         | 327                             | 346                                                           | 403                                                            | 56                  |
| ვალდებულებების კლება                             | 1,033                           | 2,647                                                         | 2,807                                                          | 160                 |
| მათ შორის საშინაო                                | 44                              | 43                                                            | 43                                                             | 0                   |
| მათ შორის საგარეო                                | 989                             | 2,604                                                         | 2,764                                                          | 160                 |
| <b>ნაშთის ცვლილება</b>                           | <b>2,496</b>                    | <b>-2,312</b>                                                 | <b>-1,626</b>                                                  | <b>686</b>          |


შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი მცირდება 106 მლნ ლარით და 11.2 მლრდ ლარს შეადგენს. შემცირება გამოწვეულია საგადასახადო შემოსავლების 108 მლნ ლარით ოდენობით კლებით (10.3 მლრდ ლარამდე), რაც დაწესებული საგადასახადო შეღავათებიდან გამომდინარე საშემოსავლო გადასახადის პროგნოზის 285 მლნ ლარით (7.9%-ით) შემცირებითაა განპირობებული.

ბიუჯეტის გადასახდელების კომპონენტებიდან, წინა წარდგენასთან შედარებით, ყველაზე მეტად - 1.2 მლრდ ლარის ოდენობით (10.5%-ით) იზრდება „ხარჯების“ მუხლი და 12.8 მლრდ ლარს შეადგენს. აღნიშნული მუხლის დაფინანსების ზრდა ძირითადად განპირობებულია პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსების ბიუჯეტში ასახვით. „ფინანსური აქტივების ზრდისა“ და „ვალდებულებების კლების“ მუხლები იზრდება შესაბამისად, 56 მლნ ლარისა (16.3%-ით) და 160 მლნ ლარის (6%-ით) ოდენობით. კანონპროექტის

წარმოდგენილ ვარიანტში შემცირებულია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის დაფინანსება 119 მლნ ლარით (4.7%-ით).

„ხარჯების“ მუხლში გაზრდილია ყველა კომპონენტის დაფინანსება. 502 მლნ ლარით გაიზარდა „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის მოცულობა და 5.3 მლრდ ლარის დონეზე განისაზღვრა. ასევე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი „საქონელი და მომსახურებისა“ (302 მლნ ლარით) და „გრანტების“ მუხლების (172 მლნ ლარით) დაფინანსება.

დიაგრამა 3. სახელმწიფო ბიუჯეტის „ხარჯების“ მუხლის კომპონენტების დინამიკა 2018-2021 წწ. (მლნ ლარი)<sup>11</sup>.



წარმოდგენილი კანონპროექტით გაზრდილი დაფინანსება პროგრამული კლასიფიკაციის ჭრილში გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელები იზრდება 403 მლნ ლარით. კერძოდ, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 225 მლნ ლარით; ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები - 185 მლნ ლარით; დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახდელები - 98 მლნ ლარით. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტით მცირდება „რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ მოცულობა 100 მლნ ლარის ოდენობით;
- მხარჯავი დაწესებულებების ჯამური ასიგნებები იზრდება 910 მლნ ლარით, რაც ძირითადად ჯანდაცვისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროების დაფინანსების ზრდითაა განპირობებული, შესაბამისად, 711 და 113 მლნ ლარის ოდენობით.

<sup>11</sup> მომდევნო წლებთან შესადარისობის უზრუნველსაყოფად, 2018 წლის „გრანტების“ მუხლიდან გამოკლებულია მუნიციპალიტეტებისთვის გადაცემული გათანაბრებითი ტრანსფერები.

კანონპროექტში, გარდა საგადასახადო შეღავათებისა, პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი ღონისძიებების ხარჯების დაფინანსებისთვის გამოყოფილია 892 მლნ ლარი (დეტალურად იხ. ცხრილი 3).


*ცხრილი 3. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტით (საბოლოო ვარიანტი) საგადასახადო შეღავათების გარდა პანდემიის საპასუხოდ გასატარებელი სხვა ღონისძიებების დაფინანსების მოცულობა (მლნ ლარი)*

| პროგრამა/ქვეპროგრამა                                                                                                         | 2021 წლის ბიუჯეტის<br>პროექტი<br>III წარდგენა |
|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------|
| სამშენებლო სექტორის ხელშეწყობა (24 07 03 01)                                                                                 | 35                                            |
| მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა - მცირე გრანტები (24 07 03 02)                                                         | 35                                            |
| საკრედიტო-საგარანტიო სქემა (24 07 03 03)                                                                                     | 50                                            |
| ახალ კორონავირუსთან დაკავშირებული კარანტინისა და სხვა ღონისძიებების განხორციელება (24 20)                                    | 50                                            |
| ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო მოსახლეობის სოციალური დახმარება (27 02 06) | 310                                           |
| ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა (27 03 03 10)                                                             | 400                                           |
| ახალი COVID-19 - დან გამომდინარე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის ღონისძიებები (31 05 13)                                       | 12                                            |
| <b>სულ</b>                                                                                                                   | <b>892</b>                                    |

წარმოდგენილი კანონპროექტით, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო ზღვრული მოცულობა მეორე წარდგენასთან შედარებით 1.7 მლრდ ლარით გაიზარდა და 33.7 მლრდ ლარის<sup>12</sup> ოდენობით განისაზღვრა, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 5.3 მლრდ ლარით (18.6%-ით) აღემატება. სახელმწიფო ვალის პორტფელის ზრდა სრულად უკავშირდება საგარეო ვალის მოცულობის გაზრდას და სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობის 82%-ს საგარეო ვალი წარმოადგენს.

<sup>12</sup> მაჩვენებელი არ ითვალისწინებს „ისტორიული ვალის“ პირობით მოცულობას.

დიაგრამა 4. სახელმწიფო საგარეო და საშინაო ვალის დინამიკა წლების მიხედვით (მლრდ ლარი).



კანონპროექტს თან ახლავს „მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის“ დოკუმენტი (DSA) 2021-2030 წლებისათვის. დოკუმენტში განხილულია რეალური მშპ-ს ზრდის, რეალური საპროცენტო განაკვეთის, სახელმწიფო ბიუჯეტი პირველადი ბალანსის, ნომინალური გაცვლითი კურსის, კომბინირებული და პირობითი ვალდებულებების შოკები. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის ვალის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი თითოეული შოკის რეალიზების შემთხვევაში აჭარბებს 60%-იან ნიშნულს.

2021 წელს საგარეო წყაროებიდან მისაღები ფინანსური რესურსის ძირითად ნაწილს (72.5%-ს) ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები წარმოადგენს.

დიაგრამა 5. საგარეო წყაროებიდან მოზიდული კრედიტების მიზნობრიობა (მლნ ლარი).

